

ნილ პოსტმანი

განათლების მიზანი

ნილ პოსტმანი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი და კულტურისა და კომუნიკაციის კათედრის გამგე იყო. მის ოც წიგნს შორის არის წიგნები, რომლებიც ბავშვობის („ბავშვობის გაუჩინარება“), საზოგადოებრივი მსჯელობის („მეტისმეტი გართობა“) და ტექნოლოგიის გავლენის („ტექნოპოლია“) შესწავლას ეძღვნება. ნილ პოსტმანი 2003 წელს გარდაიცვალა.

ნილ პოსტმანს ასევე ეკუთვნის შემდეგი წიგნები:

ხიდი მე-18 საუკუნესთან

ტექნოპოლია

ფრთხილი წინააღმდეგობა

სწავლება, როგორც დამანგრეველი მოქმედება

(ჩარლზ ვაინგარტნერთან ერთად)

გიჟური საუბარი, სულელური საუბარი

სწავლება, როგორც დამცავი მოქმედება

ბავშვობის გაუჩინარება

მეტისმეტი გართობა

The End of Education

Redefining the Value of School

Neil Postman

ქვეყნის აღიზნა და წყნად

განათლების მიზანი

სკოლის მნიშვნელობის გადაფასება

ნილ ზოსტმანი



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი — 2007

ნიგნი წარმოადგენს თანამედროვე ამერიკელი მეცნიერის ნილ პოსტმანის ცნობილ ნაშრომს, რომელიც პოპულარულ ენაზე მოგვითხრობს განათლების საჭირობო საკითხებზე. თქვენს წინაშე მისი პირველი ქართული გამოცემაა. ნიგნი განკუთვნილია როგორც პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტების, ასევე განათლების საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

| | |
|-----------------|------------------|
| თარგმნა | ლელა პაპიაშვილმა |
| რედაქტორი | ნინო ჭიაბრიშვილი |
| დამკაზადონებელი | ქეთევან გოგავა |

უცხოური გამოცემის ყველა უფლებას განკარგავს Neil Postman, 1995

პირველი ქართული გამოცემა 2007

ყველა უფლება დაცულია. (დაუშვებელია ნიგნის რომელიმე ნაწილის გამოყენება გამომცემლის ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა კანონით ისჯება).

დამფინანსებელი



© 2007 ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia Chavchavadze State University

ISBN 978-99940-0-293-1

შინაარსი

| | |
|----------------------------------------------|-----|
| წინასიტყვაობა | 9 |
| ნაწილი I | |
| 1. ღმერთების საჭიროება | 11 |
| 2. ყველა ღმერთი როდი ამართლებს | 25 |
| 3. ვერც ყველა ახალი ღმერთი ამართლებს | 41 |
| 4. ღმერთები, რომლებსაც დახმარება შეუძლიათ | 61 |
| ნაწილი II | |
| 5. საჰაერო ხომალდი — დედამინა | 88 |
| 6. დაცემული ანგელოზი | 107 |
| 7. ამერიკული ექსპერიმენტი | 120 |
| 8. მრავალფეროვნების კანონი | 133 |
| 9. სიტყვის მთხზველები / სამყაროს შემქმნელები | 160 |
| ეპილოგი | 180 |
| შენიშვნები | 182 |

ნაწილი I

1 • ღმერთის საჭიბურა

საკითხი, როგორ წარმართოთ სკოლაში სწავლება, ორი პრობლემის გადაჭრას მოითხოვს: ერთი დაგეგმვის პრობლემაა, მეორე — მეტაფიზიკური. პირველი ძირითადად ტექნიკურია. ეს იმ საშუალებების მოძიების პრობლემაა, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებს განსწავლულს გახდის. ეს სწავლებასთან დაკავშირებით „სად“, „როდის“ და „როგორ“ კითხვებზე პასუხის გაცემას ნიშნავს. რა თქმა უნდა, მარტივი კითხვები სულაც არ არის და ნებისმიერმა საკუთარი თავის პატივისმცემელმა ავტორმა, რომელიც სწავლების შესახებ წერს, პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზები უნდა შემოგვთავაზოს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სწავლების დაგეგმვა ძალზე გაზვიადებულია და საჭიროზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი ძველი გამონათქვამისა არ იყოს, „ტომობრივი სიმღერების შესრულების ოცდაერთი სხვადასხვა გზა არსებობს და ყველა მათგანი სწორიაო“. ეს ნათქვამი სწავლებასაც ესადაგება. ვერავინ იტყვის ცალსახად, რომ სწორედ „ეს“ არის შესწავლის, შეგონების, დანახვის, დამახსოვრების, გამოყენების ან დაკავშირების საუკეთესო გზა, სხვები კი უსარგებლოაო. ასეთი განცხადება სწავლების გაუბრალოება, მის მექანიკურ უნარამდე დაყვანა იქნებოდა.

რა თქმა უნდა, მრავალი ცოდნა ოდნავ თუ განსხვავდება მექანიკური უნარისაგან. ამგვარი ცოდნის მისაღებად, შესაძლებელია, საუკეთესო გზა არსებობდეს, მაგრამ სრულიად სხვაგვარია ცოდნა, რომელიც პიროვნულ თვისებებს — გამჭრიახობას, წარმოდგენას, ხედვას, მთელ შინაგან სამყაროს გვიცვლის. ამისათვის მიზეზია საჭირო და სწორედ ამ მეტაფიზიკურ პრობლემაზე მსურს ვისაუბრო.

ამ შემთხვევაში სიტყვა „მიზეზი“ მოტივაციისაგან განსხვავდება. სკოლაში სწავლების კონტექსტში მოტივაცია დროებით, ფსიქიკურ მოვლენას ეხება, რომელიც ცნობისმოყვარეობას აღვიძებს და ყურადღებას ამახვილებს. მისი მნიშვნელობის დაკნინებას არ ვაპირებ, მაგრამ მოტივაციის არსებობა-არარსებობის მიუხედავად, ის საკლასო ოთახში ყოფნის, მასწავლებლის მოსმენის, გამოცდაზე გასვლის, საშინაო დავალების შესრულების ან სკოლის „ატანის“ მიზეზებში არ უნდა აგვერიოს.

ასეთი აბსტრაქტული მიზეზი ადამიანის ცნობიერებაში ყოველთვის როდია და არც მისი აღწერაა ადვილი. მიუხედავად ზემოთქმულისა, მიზეზის გარეშე სწავლება წარუმატებელია. სკოლამ აზრი რომ არ დაკარგოს ახალგაზრდებს, მშობლებსა და მასწავლებლებს „ღმერთი“ (ან უკეთეს შემთხვევაში „ღმერთები“) უნდა ჰყავდეთ, რომელსაც ემსახურებიან. ამის გარეშე სკოლა უაზრო გახდება. ამ შემთხვევაში ნიცშეს (Nietzsche) ცნობილი აფორიზმი გამოგვადგება: „ვისაც ცხოვრებაში მიზანი აქვს, ყველაფრის ატანა შეუძლია“. ეს სწავლებასაც და ცხოვრებასაც თანაბრად ეხება.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, მიზნის გარეშე უსათუოდ დადგება სკოლაში სწავლების დასასრული.

ღმერთში, რომელსაც უნდა ვემსახუროთ, იმ ღმერთს არ ვგულისხმობ, რომელმაც სამყარო შექმნა და რომლის წმინდანთა ნიგნებში მოცემულმა ზნეობრივმა კანონებმა უთვალავ ადამიანს მისცა ცხოვრების, უფრო ზუსტად კი, სწავლის მიზეზი. მეცამეტე საუკუნიდან ხუთასი წლის განმავლობაში დასავლურ სამყაროში ღმერთი საკმარისი საფუძველი იყო სასწავლო დაწესებულებების შექმნისათვის, დაწყებული გიმნაზიებიდან, სადაც ბავშვებს ბიბლიის კითხვას ასწავლიდნენ, დამთავრებული უნივერსიტეტებით, სადაც მამაკაცებს მღვდლებად ამზადებდნენ. დასავლეთში და კიდევ უფრო მეტი ისლამურ სამყაროში, დღესაც არის სკოლები, რომელთა ძირითადი მიზანი ღმერთის მსახურება და განდიდებაა. ამ ქვეყნებში სკოლის და სასკოლო კრიზისის პრობლემა, რა თქმა უნდა, არ დგას. არსებობს მხოლოდ აზრთა გარკვეული სხვაობა იმის შესახებ, რომელი საგნები ავითარებს ყველაზე უკეთ პატივისცემას, მორჩილებასა და რწმენას; შეიძლება არიან სკეპტიკურად განწყობილი მოსწავლეები და ურწმუნო მასწავლებლებიც კი, მაგრამ ასეთ სკოლებში უდიდესი სულიერი იდეა სუფევს, რომელიც სწავლას მიზანსა და სიცხადეს ანიჭებს. თვით სკეპტიკოსებმა და ურწმუნოებმაც კი იციან, რატომ სწავლობენ, რისი სწავლა სურთ ან რას ენიანაღმდეგებიან. ზოგმა სასწავლებლის მიტოვების მიზეზიც იცის.

რამდენიმე წლის წინ პრინსიპიის კოლეჯში, ელსაში, ილინოისის შტატში ფილოსოფიის შესანიშნავ და პოპულარულ პროფესორთან ნაღვლიანი საუბარი მქონდა. პრინსიპია იყო და, რამდენადაც ვიცი, ჯერაც არის ერთადერთი დაწესებულება, რომელიც ქრისტიანულ საეკლესიო მეცნიერებაში უმაღლეს განათლებას იძლევა. პროფესორმა მითხრა, რომ მიუხედავად პრინსიპიაში გატარებული უბედნიერესი წლებისა, სამუშაოდ

საერო უნივერსიტეტში გადავიდა, რადგანაც ქრისტიანული მეცნიერების დოგმების აღარ სჯეროდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი კურსები ამ დოგმების განხილვას, მით უმეტეს, მათ სწავლება-ინსტრუქტირებას არ მოიცავდა. არ უნდოდა, ვინმეს მისი იმედგაცრუების შესახებ სცოდნოდა. მას აღარ სჯეროდა კოლეჯის დანიშნულების და თითოეული კურსი, შინაარსის მიუხედავად, მისთვის მიუღებელი მოძღვრებით* იყო შთაგონებული. სწორედ ამიტომ დატოვა კოლეჯი. ყოველთვის ვიმედოვნებდი, რომ ეს მარტოსული პროფესორი ბოლოს და ბოლოს სხვა „ღმერთს“ იპოვიდა, რომლის მსახურიც გახდებოდა და სხვა მოძღვრებას, რომელიც მის სწავლებას აზრს დაუბრუნებდა.

სიტყვა „*მოძღვრებას*“ „*ღმერთის*“ სინონიმად გარკვეული ეჭვით, მაგრამ უფრო თავდაჯერებით ვიყენებ. ვიცი, რომ ვრისკავ, არა მარტო იმიტომ, რომ სიტყვა „ღმერთს“ სინონიმის აურა აქვს და დაუფიქრებლად არ უნდა გამოვიყენოთ, არამედ იმიტომაც, რომ ამ სიტყვის ხსენებაზე თვალწინ ერთი და იგივე ფიგურა ან ხატება წარმოგვიდგება. ფიგურის ან გამოსახულების მიზანი ადამიანის გონების რაიმე იდეისაკენ, ჩემი აზრით კი, უფრო რაიმე ამბისკენ მიმართვაა; არა ნებისმიერი ამბისაკენ, არამედ ისეთისაკენ, რომელიც წარმოშობაზე მოგვითხრობს და მომავალის წარმოდგენასა და იდეალებს გვიქმნის, ქცევის ნებსებს გვასწავლის, ძალაუფლების წყაროზე მიგვითითებს და, რაც მთავარია, მარადიულობის შეგრძნებასა და მიზანს გვაძლევს. სიტყვა „ღმერთს“ საკმარისი სანდოობის, სირთული-სა და სიმბოლური ძალის მქონე დიადი ამბის (მოძღვრების) მნიშვნელობით ვიყენებ. იგი ადამიანს საკუთარი და გარშემომყოფთა ცხოვრების მონყობის საშუალებას აძლევს. ამ სიტყვას იმავე მნიშვნელობით ვიყენებ, როგორც არტურ კოსტლერი (Arthur Koestler), რომელმაც თავის წიგნს კომუნიზმის სიყალბისა და იმედგაცრუების შესახებ „ღმერთი, რომელმაც ვერ გაამართლა“ უწოდა. მისი მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ კომუნიზმი ხელისუფლებაში ან სოციალურ ცხოვრებაში უბრალოდ ექსპერიმენტი და, მით უფრო, ეკონომიკური თეორია, კი არ იყო, არამედ ამომწურავი მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორია სამყარო, როგორი უნდა იყოს და რა მოგველის მომავალში. ასევე უნდოდა ეჩვენებინა, რომ, მიუხედავად

* დედანში მოცემული სიტყვის narrative-ის თარგმანად სიტყვა „მოძღვრება“ ვარჩიეთ (თუმცა შეიძლება ითარგმნოს როგორც ნარატივი, ამბავი, ისტორია, მოთხრობა და ა.შ), რადგან ჩავთვალეთ, რომ ის ყველაზე უკეთ გამოხატავდა წიგნის ავტორის აზრს (რედ. შენიშვნა).

კომუნიზმის ზიზლისა ტრადიციული რელიგიების „ირაციონალური“ მოძღვრებების მიმართ, ის მაინც რწმენასა და დოგმაზე იყო დაფუძნებული. რა თქმა უნდა, მკრეხელობისა და მწვალებლობის საკუთარი კონცეფციაც ჰქონდა და ეკლესიიდან მოკვეთის მიუღებელ და სასტიკ მეთოდს იყენებდა.

ამ მაგალითით იმის თქმა როდი მსურს, რომ ღმერთები არ უნდა ამართლებდნენ, პირიქით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალი „ღმერთი“ ვერ ამართლებს. ცხოვრებაში სამი კატასტროფული მოძღვრების — კომუნიზმის, ფაშიზმის და ნაციზმის „ღმერთების“ — არსებობის მოწმე გავხდით. თითოეული მათგანი სამოთხეს გვპირდებოდა, მაგრამ ჯოჯოხეთისკენ მიგვერეკებოდა. თუ შემდეგ თავებსაც წაიკითხავთ, ნახავთ, რომ კიდევ რამდენიმე „ღმერთია“, რომელთაც, მართალია, ხალხის გული და გონება დაიპყრეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ცხოვრების ან სწავლისთვის დანიშნულების უზრუნველსაყოფად ძალა არ შესწევთ. თუ კითხვას გააგრძელებთ, ნახავთ, რომ მჯერა ცხოვრებისა და სწავლის სულისჩამდგმელი მოძღვრებების არსებობისა, რომლებიც ჩვენს ხელთაა, თუკი მათ დანახვას მოვინდომებთ. ესენია „ღმერთები“, რომლებიც გვემსახურებიან და „ღმერთები“, რომლებსაც ვემსახურებით.

ჩემი მიზანი რომელიმე „ღმერთის“ ძაგება ან ქება კი არ არის, არამედ იმის ახსნა, რომ მათ გარეშე ცხოვრება აზრს კარგავს. რაც არ უნდა ვუნოდოთ საკუთარ თავს, ღმერთის შექმნილი არსებები ვართ. ჩვენი გონიერება მოძღვრებების შექმნის გზით ცხოვრებისათვის აზრის მინიჭების ჩვენსავე უნარშია. ეს მოძღვრებები აზრს აძლევს ჩვენს შრომას, განადიდებს წარსულს, ნათლად წარმოაჩენს აწმყოს და მიმართულებას აძლევს ჩვენს მომავალს. თავისი ფუნქციის შესასრულებლად მოძღვრებას მეცნიერული თვალსაზრისით უტყუარობა არ სჭირდება. მრავალმა მოძღვრებამ მცდარი დეტალებითაც გაუძლო დროს. მოძღვრების მიზანი სამყაროს მეცნიერული აღწერა კი არა, მისთვის აზრის მინიჭებაა. მოძღვრების ჭეშმარიტების ან მცდარობის საზომი მისი შედეგებია: უზრუნველყოფს თუ არა ის ადამიანებში ინდივიდუალობის, საზოგადოებრივი ცხოვრების შეგრძნების, ზნეობრივი საქციელის საფუძველს, იმის ახსნას, რისი ცოდნაც შეუძლებელია?

ასეთი მოძღვრებები განსხვავებული სახელებითაა ცნობილი. ჯოზეფ კემბელი (Joseph Campbell) და როლო მეი (Rollo May) მას „მითს“ უწოდებენ. ფროიდი (Freud) კი, ვისაც ყველაზე კარგად ესმოდა ასეთი თხზულებ-

ბების შემოქმედებითი სათავე და სულიერი საჭიროება, მათ „ილუზიებს“ უწოდებდა. შეიძლება ითქვას, რომ მარქსსაც (Marx) რალაც ამგვარი ჰქონდა მხედველობაში, როცა სიტყვა „იდეოლოგიას“ იყენებდა. მაგრამ ჩემი მიზანი ამ ტერმინების აკადემიური ნიუანსებისა და უმნიშვნელო სახესხვაობების დიფერენცირება როდია. მთავარი ის არის, რომ სახელის მიუხედავად, ამ მოძღვრებების მეშვეობით განუწყვეტლივ ვიქმნით ისტორიასა და მომავალს. მათ გარეშე, ცხოვრებას აზრი არა აქვს. აზრის გარეშე, სწავლა მიზანს კარგავს, მიზნის გარეშე კი სკოლა მზრუნველობის და ყურადღების სახლს კი არა, დროებით საპატიმროს ემსგავსება. სწორედ ამის შესახებაა ჩემი წიგნი.

რა თქმა უნდა, ყოვლისმომცველი მოძღვრებები ისეთ ტექსტებშია, როგორცაა ძველი და ახალი აღთქმა, ყურანი, ბჰაგავად ჯიტა (Bhagavad Gita), მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნიდან (ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში) საფუძველი ჩაეყარა განსხვავებულ მოძღვრებებს, რომელთაც ალტერნატიული „ღმერთების“ როლის შესასრულებლად საკმარისი ძალა შესწევდათ. ერთ-ერთი ასეთი დიადი მოძღვრება, რომელმაც დროს ყველაზე უკეთ გაუძლო „ინდუქციური მეცნიერების“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ „ღმერთის“ შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მისი პირველი „მქადაგებლები“ — დეკარტე (Descartes), ბეკონი (Becon), გალილეო (Galileo), კეპლერი (Kepler) და ნიუტონი (Newton) — თავიანთ მოძღვრებას არა დიადი იუდეურ-ქრისტიანული მოძღვრების შემცველად, არამედ მის გაგრძელებად მიიჩნევდნენ. არაერთგზის აღინიშნა, რომ მეცნიერების დიადი საუკუნე იმ ღმერთის რწმენაზე იყო დაფუძნებული, რომელიც თავად იყო მეცნიერი და ტექნიკოსი და ამიტომაც მიესალმებოდა ცივილიზაციას. ერიკ ჰოფერი (Eric Hoffer) წერდა: „რამდენადაც ვიცით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ განავითარეს ტექნიკის საუკუნე სხვა ცივილიზაციებმა გამჭრიახობისა და უნარის მიუხედავად, ის იყო, რომ არ ჰყავდათ ღმერთი, რომელსაც ყოვლისშემძლე „ინჟინრად“ გარდაქმნიდნენ. ალბათ, ამიტომ ვერ შეასრულა ძღვევამოსილმა იეჰოვამ ის საგმირო საქმეები, რომლის მიღწევასაც ჩვენი ტექნიკის საუკუნე ახლაც კი ესწრაფვის?“¹ ალბათ გალილეო, კეპლერი და ნიუტონი ამ აზრს დაეთანხმებოდნენ, რამეთუ ისინი ღმერთს დიდ ქრონომეტრად და მათემატიკოსად მიიჩნევდნენ. ასეა თუ ისე, ეჭვგარეშეა, რომ მეცნიერების საუკუნის დასაწყისიდან, მის შემქმნელებს სჯეროდათ იეჰოვას დიადი მოძღვრების. მათი აღმოჩენები

იუდეურ-ქრისტიანულ ღმერთს ეძღვნებოდა და ემსახურებოდა. ისინი კმაყოფილი იქნებოდნენ, რომ სცოდნოდნენ სტეფან ჰოუკინგის (Stephen Hawking) აზრი, რომ — „სუპერდამჯახებლის“ მიერ ნებადართული (ამჟამად მიტოვებული) კვლევა წარმოდგენას შექმნიდა ღმერთის გონებაზე. განსხვავება მათსა და ჰოუკინგს შორის იმაშია, რომ ჰოუკინგს, ათეისტად ცნობილ ადამიანს, არ სჯერა საკუთარი ნათქვამის. მისთვის იეჰოვას სასწაულების ისტორია მხოლოდ მკვდარი მეტაფორა, იდიოტის მიერ მოყვლილი ზღაპარია. ცხადია, რომ თავისთავად მეცნიერების დიადი ისტორია ჰოუკინგისათვის, როგორც ბევრისათვის მრავლისმთქმელია. ეს არის ისტორია, რომელიც ხოტბას ასხამს ადამიანის აზროვნებას, აკრიტიკებს რწმენას, უარს ამბობს ზეშთაგონებაზე, როგორც ცოდნის წყაროზე და მისთვის სულიერების ელფერის მისაცემად, გვთავაზობს აზრს (ჯეკობ ბრონოვსკის (Jacob Bronowski) მსგავსად, რომ ჩვენი მიზანი დედამიწაზე სარწმუნო ცოდნის აღმოჩენაა. რა თქმა უნდა, მეცნიერებისა და რელიგიის ყველა დიად მოძღვრებას ერთი საერთო იდეა, ფუნდამენტური ვარაუდი აქვს — სამყაროში არსებობს წესრიგი.

მეცნიერებას „ღმერთის გონების“ კონცეფციის ვერსიაც კი აქვს. როგორც ერთხელ ბერტრანდ რასელმა (Bertrand Russel) თქვა, თუ ღმერთი არსებობს, ის დიფერენციალური განტოლებაა. ალბათ, კეპლერს განსაკუთრებით მოეწონებოდა ასეთი შეხედულება. შეიძლება, სტეფან ჰოუკინგიც ამას გულისხმობდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მეცნიერების, როგორც „ღმერთის“ დიდი ძალა, რა თქმა უნდა, იმაშია, რომ ის უფრო წარმატებით „მუშაობს“, ვიდრე ვედრება და ვიდრე თვით ფრენსის ბეკონი წარმოდგენდა. მეცნიერების თეორიები დამტკიცებადია და საერთო; შეცდომები - შესწორებადი; შედეგები — პრაქტიკული. „ღმერთი-მეცნიერება“ ადამიანებს მთვარეზე გზავნის, აცრების საშუალებით იცავს დაავადებებისგან, გამოსახულება უზარმაზარ სივრცეში ისე გადააქვს, რომ მისი დანახვა ოთახში შეგვიძლია. ის ძლიერი „ღმერთია“ და ძველი „ღმერთების“ მსგავსად, ადამიანებს საკუთარი ცხოვრების კონტროლის საზომს აძლევს. სწორედ ეს არის ღმერთების გამოგონების ერთი-ერთი მიზეზი. ზოგიერთი თვლის, რომ „ღმერთი-მეცნიერება“ ნებისმიერი სხვა „ღმერთზე“ მეტ კონტროლსა და ძალას გვაძლევს.

თუმცა, ყველა სხვა „ღმერთის“ მსგავსად, სრულყოფილი ისიც არ არის. „ღმერთი-მეცნიერების“ მოძღვრება ჩვენს წარმომობაზე და აღსასრულზე, რბილად რომ ვთქვათ, არადაამაკმაყოფელია. კითხვაზე, თუ როგორ